ზაარლანდის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2014 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ზაარლანდის უნივერსიტეტში სტიპენდიების მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ-ს ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის III, IV, V, VI სემესტრისა და მაგისტრატურის I სემესტრის სტუდენტებს (ერთთვიანი ენის კურსები და სამთვიანი სტიპენდია), ასევე თსუ-ს დოქტორანტებს (მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდია).

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე);
II ეტაპი – გასაუბრება

კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2013 წლის 26 ნოემბერს,
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)

აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!

<u>კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:</u>

http://dfronline.tsu.edu.ge/

კონკურსზე ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადაა: <u>2013 წლის 22 ნოემბერი, 12 საათი</u>

<u>რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!</u>

თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პაროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან ქართულ ენაზე (ეხებათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს)
- ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ბაკალავრის დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (ეხებათ მხოლოდ მაგისტრატურის პირველის სემესტრის სტუდენტებს)
- მაგისტრის დიპლომის ასლი (ეხებათ მხოლოდ დოქტორანტებს)
- პასპორტის ასლი
- მოტივაციის წერილი (გერმანულ ენაზე)
- CV (გერმანულ ენაზე)

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ-ს მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა:

გერმანულენოვან დოქტორანტებს არ მოეთხოვებათ ენის ტესტის დაწერა, გამონაკლისის სახით გერმანული ენის არცოდნის შემთხვევაში კონკურსზე დაიშვებიან მხოლოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისურენოვანი დოქტორანტები.

კონკურსზე არ დაიშვებიან 2012/2013 სასწავლო წლის ზაარლანდის კონკურსის გამარჯვებულები!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212